ჩემპიონატი

თბილისელებმა 12 ქულა მოაგროვეს

მოსკოვის **პროფკავშირთა პირველ ნაკრებს** ამჟამად საკავშირო პირველობის გათამაშების ცხრილში უკავია მე–14 ადგილი. ამ მდგომარეობამ ბევრი თვითკმაყოფილებამდე მიიყვანა, შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს **თბილისის დინამოელები** 13 მაისს ადვილად დაამარცხებდნენ მათ.

მატჩმა, ბრძოლამ ორი ქულისათვის თავიდანვე მწვავე ხასიათი მიიღო. მაყურებელთა თვალს პირველ რიგში ხვდებოდა გუნდების კაპიტნების, ჩვენი ქვეყნის უძლიერესი შუამარბების – პაიჭაძისა და პონომარიოვის თავგამოდებული, აზრიანი, კომბინაციური თამაში.

პირველი ტაიმის მე–18 წუთზე მეკარე ტყებუჩავამ დაუშვა ტაქტიკური შეცდომა – ღიად დატოვა კარი. მოსკოველებს ჰქონდათ ბურთის გატანის უდაო შანსი, მაგრამ ეს ვერ გამოიყენეს მათ.

შეჯიბრების პირველი ნახევრის ბოლო წუთებში თბილისელები დაჯარიმდნენ კორნერით. ახლო მანძილიდან პონომარიოვი ურტყამს მისთვის ჩვეული სიძლიერით, მკვდარი ბურთისაგან თავისი გუნდი იხსნა დამცველმა კიკნაძემ. ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა – 0:0.

სპორტულად საინტერესო ბრძოლა გრძელდებოდა შეჯიბრების მეორე ნახევარშიც. მე–4 წუთზე პაიჭაძე, რომელსაც ფეხდაფეხ დასდევდნენ, სარგებლობს მარცხენა დამცველის შეცდომით, გადადის გარღვევაზე და ხსნის ანგარიშს. რამდენიმე წუთის შემდეგ საჯარიმო მოედანზე ბურთზე ხელის ხლებისათვის სტუმრები დააჯარიმეს "პენალტით". ბერძენიშვილმა გაიტანა მე–2 ბურთი.

მოსკოველთა ტემპიანი თამაში ცხრება, ლამაზი კომბინაციის შემდეგ ცენტრალურ სამეულს 30-ე წუთზე გააქვს პირველი ბურთი. რამდენიმე ხნის შემდეგ ჯეჯელავას მიერ მოწოდებული ბურთი ეფექტურად გაიტანა გავაშელმა.

საინტერესო იყო მატჩის უკანასკნელი წუთები, განსაკუთრებით 90-ე წუთზე მოსკოველები განუწყვეტელ იერიშზე არიან. თბილისელთა კარის წინ ზედიზედ ინიშნება ოთხი კორნერი, დამცველთა რიგებში პანიკაა, ხელსაყრელი მომენტით სარგებლობს ღიად დატოვებული პონომარიოვი. იგი ათანაბრებს მეორე ბურთს.

ორი ძლიერი გუნდის საუკეთესო ბრძოლა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით, ანგარიშით – 3:2. გათამაშების ცხრილში დინამოელებს ამჟამად უკავიათ საპატიო მეორე ადგილი. რვა მატჩის 16 შესაძლებლობიდან მათ მოაგროვეს 12 ქულა.

ვ. გ.
"ახალგაზრდა კომუნისტი", 14 ივნისი, 1941 წ.